კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023 წელი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო
საგანმანათლებლო პროგრამა

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე

ოქმი N 02-2021

21 ივნისი, 2021 წელი

აკადემიური საბჭოს დადგენილებით

N 02-2021

21 ივნისი, 2021 წელი

1. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება

საერთაშორისო ურთიერთობები

International Relations

2. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური

ბაკალავრიატი

3. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი

აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა

4. ფართო სფერო

სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია

Social Sciences, Journalism and information

5. ვიწრო სფერო

სოციალური და ქცევითი მეცნიერებები

Social and Behavioural Sciences

6. დეტალური სფერო

პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები

Political Sciences and Civics

7. სწავლის სფერო

საერთაშორისო ურთიერთობები

International Relations

8. სწავლის ხანგრძლივობა

4 წელი, 8 სემესტრი

9. პროგრამის მოცულობა კრედიტებით

240 კრედიტი

10. სწავლების ფორმა

დასწრებული

11. სწავლების ენა

ქართული

12. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი

Bachelor of International Relations

13. პროგრამის ხელმძღვანელი

ალიკა გუჩუა, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

14. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების ატესტატის მქონე საქართველოს მოქალაქეებს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 52).

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ პირი ვალდებულია უნივერსიტეტს წარუდგინოს სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირმა - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა დასაშვებია სწავლების პირველი აკადემიური წლის დასრულების შემდეგ. მობილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის აქტით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების /თანხმობის საფუძველზე.

15. სწავლების პერიოდი და მოცულობა

- ერთი აკადემიური წელი მოიცავს **38 კვირას;**
- **I** სემესტრის ხანგრძლივობაა **19 კვირა;**
- **II** სემესტრის ხანგრძლივობაა **19 კვირა.**

აქედან:

ა) **1-15კვირა** სასწავლო პერიოდია, ტარდება ლექცია–სემინარები, პრაქტიკული მეცადინეობები, შუალედური გამოცდები, პრეზენტაციები, რეფერატების მომზადება, დაცვა და ა.შ.

ბ) **მე-16 – მე–18 კვირა** დასკვნითი გამოცდების პერიოდია;

გ) **მე–19 კვირას** ტარდება განმეორებითი გამოცდები.

16. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი ცნებების, თეორიების, ინსტიტუტების, პოლიტიკური პროცესების და მექანიზმების შესახებ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ფართო ცოდნა, რომელიც მას პრობლემის სწორად დასმის, აღქმის, ორიგინალური განვითარების, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად კვლევითი ნაშრომის შესრულებისა და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას მისცემს;

პროგრამის ფარგლებში ისწავლება ისეთი სასწავლო კურსები, რომლებიც მოიცავს საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალ-ეკონომიკურ პროცესებს, ითვალისწინებს სტუდენტების მისწრაფებებსა და სურვილებს და მოამზადებს მაღალი

კვალიფიკაციის საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტებსა და დიპლომატებს, რომელთაც შეეძლებათ წარსულ – ისტორიულ და თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა და ამ პროცესების ანალიზი.

17. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

240 კრედიტი

სავალდებულო კომპონენტები: 172 კრედიტი, მათ შორის:

- საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები – **22 კრედიტი;**
- საფაკულტეტო (სოციალური მეცნიერებების) სავალდებულო სასწავლო კურსები – **15 კრედიტი;**
- სპეციალობის (საერთაშორისო ურთიერთობები) სავალდებულო სასწავლო კურსები – **135 კრედიტი;**

არჩევითი კომპონენტები: 68 კრედიტი, მათ შორის

- საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები – **10კრედიტი;**
- საფაკულტეტო (სოციალური მეცნიერებების) არჩევითი სასწავლო კურსები – **8 კრედიტი;**
- სპეციალობის (საერთაშორისო ურთიერთობები) არჩევითი სასწავლო კურსები – **25 კრედიტი;**

თავისუფალი კომპონენტები - 25 კრედიტი

პროგრამის თავისებურებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ინგლისური ენის გაძლიერებულად სწავლების პარალელურად სტუდენტი ვალდებულია 3 სემესტრის განმავლობაში, 15 კრედიტის მოცულობით შეისწავლოს მეორე უცხო ენაც, თავისი სურვილის მიხედვით. ეს ენებია: გერმანული, ფრანგული, რუსული, ან სპარსული. გარდა ამ ენებში ლექსიკა, გრამატიკის სწავლებისა (V-VI სემესტრში), VII სემესტრში გათვალისწინებულია გერმანულ, ფრანგულ, რუსულ, ან სპარსულ ენებზე, საერთაშორისო ურთიერთობების დარგობრივი ტერმინოლოგიის სწავლება.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი ვალდებულია გაიაროს პრაქტიკა 10 კრედიტის მოცულობით.

პროფესიული პრაქტიკის მიზანია:

სტუდენტის მიერ უშუალოდ საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში საქმიანობის განხორციელება და პრაქტიკული უნარ–ჩვევების ათვისება;

უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის განმტკიცებისა და გაფართოების ხელშეწყობა: თეორიის პრაქტიკასთან შერწყმა, ანუ აკადემიური განათლებისა და თეორიის დაკავშირება სამყაროსთან/პრაქტიკასთან;

იმ პროცესებში ჩართვა, რომლებიც არა სასწავლო დაწესებულებისთვის, არამედ სამუშაო გარემოსთვის არის დამახასიათებელი (საქმიანი ურთიერთობები, თანამედროვე ტექნოლოგიები, სამუშაო გარემოს სპეციფიკა და სხვ.);

სასწავლო პროცესში შეძენილი და ჩამოყალიბებული კომპეტენციების პრაქტიკაში გამოყენება და ახალი ცოდნისა და კომპეტენციების ათვისება;
პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებისა და განვითარების საფუძველზე მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის მომზადება.

პრაქტიკის გავლის შედეგად სტუდენტებს ჩამოუყალიბდებათ როგორც დარგობრივი, ისე ზოგადი კომპეტენციები.

დარგობრივი კომპეტენციები

პრაქტიკის დასრულების შემდეგ სტუდენტს ექნება:

პოლიტიკური, დიპლომატიური, კონფლიქტური, კრიზისული, ორგანიზაციული და სხვ. ხასიათის პრობლემების კვალიფიციური ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი;
თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების განხორციელების უნარი უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე;
საერთაშორისო და დიპლომატიური ურთიერთობების წარმოებისათვის აუცილებელი დოკუმენტების მომზადების უნარი;
საერთაშორისო და დიპლომატიური ურთიერთობების განხორციელებისათვის აუცილებელი უნარ–ჩვევები;
პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში რისკების შეფასებისა და შესაბამისი ქმედებების დაგეგმვის უნარი;
კონფლიქტური სიტუაციების შესწავლის, შეფასების და მათი გადაჭრის გზების დასახვის უნარი;
განსახორციელებელ ღონისძიებათა მიკრო დონეზე შემუშავებისა და მათ შესრულებაზე კონტროლის უნარ-ჩვევები;
საკუთარ სამუშაოზე პასუხისმგებლობის, მისი ანალიზისა და კრიტიკის უნარი;
ანალიზისა და სინთეზის, მასალების დაჯგუფებისა და მეორადი ინფორმაციების შექმნის, დებატებში მონაწილეობის, არგუმენტირებული ინფორმაციების წარმოდგენისა და კონტრარგუმენტების წარმოჩენის უნარი;
თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების გამოყენების, ინტერნეტ რესურსების ძიებისა და დამუშავების, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მასალის პრეზენტაციის უნარი;
ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი (როგორც მშობლიურ, ისე უცხო ენებზე);
დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობის უნარი.

18. სწავლების მეთოდოლოგია

სწავლების პროცესის ორგანიზება მიზნად ისახავს ისეთი მეთოდოლოგიის გამოყენებას, რომელიც საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულის აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მიღწევას უზრუნველყოფს.

სწავლების პროცესში გამოიყენება მეთოდები:

ლექციებსა და სამუშაო ჯგუფში მუშაობისას:

ვერბალური (შესწავლილ თემასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და დისკუ-სიები/დებატები, პრეზენტაციის/მოხსენების წარდგენა), **წერითი** (დავალების/პრეზენტაციის მომზადება, პრაქტიკული მეცადინეებებისთვის დავალების მომზადება, სამუშაო ჯგუფში მოხსენების/პრეზენტაციების მომზადება, ამონაწერები სახელმძღვანელოდან);

წიგნზე მუშაობის – მიღებული ცოდნა გამოვლინდება ზეპირსიტყვიერი პასუხით და წერითი დავალებების (ამონაწერების, ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ესსეს) შესრულება.

საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების (კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება, სპეციალობასთან დაკავშირებული პრაქტიკული ხასიათის ამოცანების შესრულება, კომპიუტერული ტექნიკისა და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით ინფორმაციის მოძიება-დამუშავება, მოხსენებისთვის/პრეზენტაციისთვის საილუსტრაციო მასალის მომზადება და სხვ).

პრაქტიკული სწავლების მეთოდი – ლექტორის მიერ შეთავაზებულ პრობლემაზე ინფორმაციის მოპოვება, გადამუშავება, გავრცელება; სწრაფად წერის ტრენინგი აუდიტორიაში; კონკრეტული პრობლემის გააზრება და საშინაო წერითი დავალების შესრულება, რომლის გუნდურად განხილვა-შეფასება მოხდება აუდიტორიაში;

სიტუაციური სავარჯიშოები – ტიპური პროფესიული პრობლემების მოდელირება და მათი გადაჭრის გზათა ძიება, შედეგთა ანალიზი და შეფასება აუდიტორიაში.

ჯგუფური (collaborative) მუშაობა;

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);

თანამშრომლობითი სწავლება (cooperative);

შემთხვევის ანალიზი (Case study);

როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირების მეთოდები, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ელექტრონული სწავლება.

სწავლების პროცესში გამოიყენება ასევე: სტუდენტის მიერ საკუთარი სამუშაოს კრიტიკული ანალიზი და შეფასება; სხვათა სამუშაოს კონსტრუქციული კრიტიკა და სხვების მიერ საკუთარი სამუშაოს კრიტიკის გათვალისწინება; ინფორმაციის მოძიება ელექტრონულ ფორმატში კომპიუტერული ტექნიკის ან/და საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის გამოყენებით, დასახული ამოცანის რელევანტური ინფორმაციის და ლიტერატურის მიმოხილვა.

სხვადასხვა მეთოდების გამოყენებისა და მათი კომბინირების შედეგად სასწავლო პროცესი ხდება უფრო მრავალფეროვანი, ხოლო სტუდენტების მონაწილეობა - უფრო აქტიური. მეთოდების კომბინირება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სტუდენტთა ჩართულობას, მათი შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებას.

სტუდენტები ეჩვევიან:

დამოუკიდებელ, ინდივიდუალურ და გუნდურ მუშაობას;

მიზნების დასახვას და მათი მიღწევის ადეკვატური გზებისა და მეთოდების გამოყენებას; შესასრულებელი სამუშაოს ეტაპობრივ დაგეგმვას და დროის ორგანიზებას;

საჭირო ინფორმაციის მოპოვებისთვის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და საბიბლიოთეკო ფონდის აქტიურ გამოყენებას და მოძიებული ინფორმაციის ანალიზს; დასკვნების და მოსაზრებების ჩამოყალიბება-დასაბუთებას, ვერბალურ/ წერით კომუნიკაციას, პრეზენტაციის მომზადება-მოწყობას, საკუთარი ცოდნისა და კომპეტენციის თვითპრეზენტაციას, დასკვნების და მოსაზრებების არგუმენტირებულ დაცვას.

სწავლების პროცესში შესაძლებელია ამა თუ იმ მეთოდისთვის პრიორიტეტის მინიჭება სასწავლო ჯგუფის თავისებურებებიდან გამომდინარე, რადგან სწავლებისას გამოყენებული მეთოდების შერჩევა მიმართულია სწავლების აქტივიზებაზე, შემეცნებითი საქმიანობის განვითარებასა და სტიმულირებაზე, სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობაზე.

19. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა.

სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს საბოლოო შეფასება ითვალისწინებს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასებებს. შუალედური შეფასება მოიცავს ყოველკვირეულ მიმდინარე შეფასებებს და შუალედური გამოცდის შეფასებას. თითოეულ ელემენტს თავისი პროცენტული წილი აქვს შეფასების საერთო სისტემაში.

ყოველკვირეული მიმდინარე შეფასების მიღება სტუდენტს შეუძლია ლექციებსა და სამუშაო ჯგუფში, სემინარებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე აქტიურობით, საშინაო დავალებების შესრულებით, კონკრეტული სიტუაციური ამოცანის ამოხსნაში, ასევე დისკუსია-დებატებში მონაწილეობით, წერითი ქვიზების შესრულებით, რეფერატების მომზადებითა და პრეზენტაციებით, ინდივიდუალური თუ ჯგუფური პროექტების მომზადებითა და პრეზენტაციით და ა.შ. სტუდენტთა ცოდნის შეფასების ინსტრუმენტს წარმოადგენს გამოცდა. გამოცდამ უნდა აჩვენოს, თუ რამდენად კარგად აითვისა სტუდენტმა შესაბამისი კურსი.

უნივერსიტეტში გამოცდები ტარდება: წერითი, ასევე, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, საგამოცდო ნაშრომის პრეზენტაციის და კომპიუტერულ კლასში, ელექტრონული ფორმით.

ყოველკვირეულ მიმდინარე შეფასებებში სტუდენტს შეუძლია 40 ქულის დაგროვება;

- **თითოეულ საგანში შუალედური გამოცდა ტარდება სემესტრში ერთხელ და ფასდება 20 ქულით;**
- კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია შუალედური შეფასების ელემენტში შემავალი კომპონენტების დაზუსტება: კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის წამყვანი ლექტორი;
- **შუალედურ შეფასებებში სტუდენტმა სულ შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 60 ქულა;**
- **შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 25 ქულის ტოლია;**
- **დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა, შეფასების სისტემაში მისი ხვედრითი წილი მაქსიმუმ 40 ქულაა.**
- **დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 16 ქულის ტოლია;**
- **დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება სტუდენტს,** რომელსაც **შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულების ჯამით უგროვდება მინიმუმ 51 ქულა;**

  შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

20. ცოდნის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები:

1. ლექციებსა და სამუშაო ჯგუფში მუშაობა (ლექციებზე, სემინარებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე აქტიურობა, საშინაო დავალებების შესრულება, კონკრეტული სიტუაციური ამოცანის ამოხსნაში მონაწილეობა, წერითი ქვიზების შესრულება, საშინაო დამოუკიდებელი დავ ალების, რეფერატების მომზადება და პრეზენტაცია, ინდივიდუალური თუ ჯგუფური პროექტების მომზადება, პრეზენტაცია და ა.შ.) – **30–34 ქულა;**

წინასწარ არჩეული თემის პრეზენტაცია, რეფერატის, ინდივიდუალური ან ჯგუფური პროექტის მომზადება და დაცვა – 6–10 ქულა;

2. შუალედურიგამოცდა – 20 ქულა;

3. დასკვნითი გამოცდა – 40 ქულა;

4. საბოლოო შეფასება – 100 ქულა.

თითოეულ დისციპლინაში მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების **ევროპული სისტემის (ECTS)** და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის **2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ შესაბამისი შეფასების შემდეგი სისტემით.**

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ქულა (%)	შეფასება	
91-100 ქულა	A	ფრიადი
81-90 ქულა	B	ძალიან კარგი
71-80 ქულა	C	კარგი
61-70 ქულა	D	დამაკმაყოფილებელი
51-60 ქულა	E	საკმარისი
41-50 ქულა	Fx	**ვერ ჩააბარა** (სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება)
0-40 ქულა	F	**ჩაიჭრა** (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი).

მაქსიმალური დადებითი შეფასებაა - 100 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასება - 51 ქულა;

შენიშვნა: სტუდენტს, რომელმაც ვერ ჩააბარა დასკვნითი გამოცდა და დაიმსახურა **FX შეფასება, დამატებით გამოცდაზე** გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, **ძირითადი გამოცდების შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.**

21. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი / კვალიფიკაცია

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულისთვის კვალიფიკაციის მინიჭება ხდება **საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ შესაბამისად.**

საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებს ენიჭებათ **საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი** და ეძლევათ შესაბამისი საბაკალავრო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სახელმწიფო ნიმუშის დიპლომი, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დანართთან ერთად.

კვალიფიკაციის/აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 240 / 245 ECTS კრედიტის დაგროვება.

22. კვალიფიკაციის / ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის გაცემა

საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულთა დიპლომის კატეგორიის განსაზღვრისათვის მთლიანი სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ გაიანგარიშება **კუმულატიური GPA,** რის მიხედვითაც უნივერსიტეტი კურსდამთავრებულებს აძლევს შემდეგი ხარისხის დიპლომებს:

GPA 3.5 და მეტი – წარჩინების დიპლომი: კომპენტენციის მაღალი დონით და ცოდნის შემოქმედებითად გამოყენების უნარით;

ყველა საგანში დადებითი შეფასება და GPA 3.5-ზე ნაკლები- ჩვეულებრივი დიპლომი.

დიპლომის კატეგორიის შეცვლის მიზნით სტუდენტმა შეიძლება ისარგებლოს საგნის გადაბარების უფლებით, მაგრამ არაუმეტეს სამი საგნისა.

23. დასაქმების სფერო

საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს ექნებათ საკმარისი კვალიფიკაცია იმისათვის, რომ იმუშაონ საჯარო სამსახურში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში და მას-მედიის საშუალებებში, დაწესებულებებში, რომელთაც შეხება აქვთ საგარეო პოლიტიკის წარმოებასა და შემუშავებასთან.

საბაკალავრო პროგრამის გავლისა და ბაკალავრის კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ, კურსდამთავრებულს შეეძლება დასაქმდეს საერთაშორისო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ჩართულ შესაბამის სახელმწიფო (მაგალითად საგარეო საქმეთა სამინისტრო, ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი, თავდაცვის სამინისტრო და ა.შ.) და არასახელმწიფო (არასამთავრობო ორგანიზაციები, მას-მედია) სტრუქტურებში.

24. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური მეცნიერებების სფეროს სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე.

კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

25. საბაკალავრო პროგრამის განხორციელების მატერიალური რესურსი

საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, კერძოდ:

სათანადო ინვენტარითა და საინფორმაციო–საკომუნიკაციო საშუალებებით აღჭურვილი აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;

კომპიუტერული ბაზა - კომპიუტერული კლასები, ინტერნეტსა და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები; სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ;

კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი **ბიბლიოთეკა**. ბიბლიოთეკაში უხვადაა სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურა, ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოები, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზა და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგი.

უნივერსიტეტის წიგნადი ფონდი სრულადაა ასახული სერვერზე ინტეგრირებულ საბიბლიოთეკო სისტემაში **„openbiblio”** (http://www.ciu.edu.ge/openbiblio).

უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი დარეგისტრირებულია **ასოციაცია "ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის" – eIFL",** მონაწილეთა კონსორციუმის წევრად და მინიჭებული აქვს უფლება, გამოიყენოს არაერთი ელექტრონული რესურსი.

დღეისათვის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებობს ყველა სასწავლო კურსით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა, ბეჭდური სახით თუ ელექტრონულ მატარებლებზე.

უცხოურ საინფორმაციო - საბიბლიოთეკო ბაზებთან წვდომის გაუმჯობესების მიზნით, 2018 წელს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს მიმართა, რათა უნივერსიტეტი ჩაესვათ კონსორციუმში, რომელსაც წვდომა აქვს **Elsevier - ის** ბაზებზე. 2019 წლიდან ცნობილი გახდა, რომ კონსორციუმი, რომელშიც მხოლოდ სახელმწიფო უნივერსიტეტები იყვნენ ჩართულები გაფართოვდება, კერძო უნივერსიტეტებსაც ექნებათ შესაძლებლობა ჩაერთონ **Elsevier-ის** სისტემაში და ჰქონდეთ წვდომა ბაზებზე- **Scopus და Science Direct.** აღნიშნულ ინიციატივას სრულად აფინანსებს ფონდი.

ელექტრონული ბიბლიოთეკების ჩამონათვალი მითითებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე
http://www.ciu.edu.ge/menu/electronic_catalogue

საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის თავისებურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ გარდა სავალდებულო თეორიული დისციპლინების სწავლებისა, მნიშვნელოვანი აქცენტია გაკეთებული პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებასა და გაძლიერებაზე.

ამ მიზნით უნივერსიტეტში შეიქმნა:

კავკასიური გეოპოლიტიკური მოდელირების ლაბორატორია;

კონფლიქტებისა და სამშვიდობო პროცესების კვლევის ცენტრი;

ადამიანური უსაფრთხოების კვლევითი ცენტრი;

პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტი;

საქართველოსა და ირანის ურთიერთობების სამეცნიერო-ანალიტიკური ლაბორატორია.

საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული ამოცანების დაძლევის, მათ შორის, პრაქტიკული პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები და მემორანდუმები გაფორმებული აქვს 38 სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციასა და დაწესებულებებასთან.

პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგები

სასწავლო კურსი	კომპეტენციები		
	ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
ინგლისური ენა- 1/ინგლისური ენა- 1 დამწყებთათვის	x	x	
ინგლისური ენა- 2/ინგლისური ენა- 2 დამწყებთათვის	x	x	
ინგლისური ენა- 3 დამწყებთათვის	x	x	
საქართველოს ისტორია	x	x	
კომპიუტერული უნარები	x	x	x
წერის უნარები	x	x	
სოციოლოგიის საფუძვლები	x	x	x
კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში	x	x	x
სოციალური მეცნიერებების მონაცემთა ანალიზი - SPSS მეთოდით	x	x	x
საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია	x	x	x
ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორია	x	x	x
პოლიტიკის მეცნიერების შესავალი	x	x	x

პოლიტიკური აზრის ისტორია	x	x	x
ისტორიული და პოლიტიკური გეოგრაფია	x	x	x
შესავალი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში	x	x	x
პროფესიული ინგლისური საერთაშორისო ურთიერთობებისთვის-1	x	x	x
პოლიტიკური იდეოლოგიები	x	x	x
გეოპოლიტიკა	x	x	x
პროფესიული ინგლისური საერთაშორისო ურთიერთობებისთვის-2	x	x	x
შესავალი საერთაშორისო უსაფრთხოებაში	x	x	x
საერთაშორისო საჯარო სამართალი	x	x	x
შედარებითი პოლიტიკა	x	x	x
პოლიტიკური კონფლიქტების მართვა	x	x	x
მეორე უცხო ენა (რუსული) - 1	x	x	x
მეორე უცხო ენა (გერმანული) - 1	x	x	x
მეორე უცხო ენა (ფრანგული) - 1	x	x	x
მეორე უცხო ენა (სპარსული) - 1	x	x	
საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები	x	x	x
მეორე უცხო ენა (რუსული) - 2	x	x	x

მეორე უცხო ენა (გერმანული) - 2	x	x	x
მეორე უცხო ენა (ფრანგული) - 2	x	x	x
მეორე უცხო ენა (სპარსული) - 2	x	x	x
დიპლომატიის თეორია და პრაქტიკა	x	x	x
საერთაშორისო პოლიტიკა	x	x	x
გადაწყვეტილების მიღების პროცესი საგარეო პოლიტიკაში	x	x	x
საქართველოს საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკა	x	x	x
მეორე უცხო ენა (რუსული) - 3	x	x	x
მეორე უცხო ენა (გერმანული) - 3	x	x	x
მეორე უცხო ენა (ფრანგული) - 3	x	x	x
მეორე უცხო ენა (სპარსული) - 3	x	x	x
მეტადიპლომატია და დიპლომატიის სპეციალიზაციები	x	x	x
პრაქტიკა	x	x	x
საბაკალავრო ნაშრომი	x	x	x
ფილოსოფიის საფუძვლები	x	x	
მსოფლიო ცივილიზაციების ისტორია	x	x	
მსოფლიო ლიტერატურის შედევრები	x	x	x

კულტუროლოგია	x	x	
პოლონური ენა-1	x	x	
ესპანური ენა -1	x	x	
ფსიქოლოგიის საფუძვლები	x	x	
კავკასიის ხალხთა ყოფა და კულტურა	x	x	
მსოფლიო ხელოვნების ისტორია	x	x	
საქმიანი ურთიერთობები და ეტიკეტი	x	x	
ინფორმაციის დამუშავების კომპიუტერული ტექნოლოგიები	x	x	x
მსოფლიო კინოს ისტორია	x	x	x
პოლონური ენა-2	x	x	x
ესპანური ენა -2	x	x	
საზოგადოებასთან ურთიერთობის ტექნიკა	x	x	x
მედიაპროპაგანდა - ისტორიული რაკურსი და თანამედროვეობა	x	x	x
ადამიანის უფლებები და დემოკრატია	x	x	x
მოლაპარაკების მეთოდები	x	x	
ლიტერატურული მიმდინარეობებისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორია (გამოცდილებითი სწავლება)	x	x	

ეთიკა და საზოგადოებრივი ქცევის ნორმები	x	x	x
კრიტიკული აზროვნება	x	x	x
ქართული მეტყველების კულტურა	x	x	
საარჩევნო პროცესის საინფორმაციო უზრუნველყოფა	x	x	x
მედია და სახელმწიფო სტრუქტურები	x	x	x
პოლიტიკური სისტემების შედარებითი ანალიზი	x	x	x
გენდერი და პოლიტიკა	x	x	x
სამართალმცოდნეობის შესავალი	x	x	
ანალიტიკური წერა	x	x	x
საჯარო მმართველობა და პოლიტიკური სისტემა	x	x	x
გლობალიზაცია და ნაციონალიზმი	x	x	x
საერთაშორისო ორგანიზაციები	x	x	x
ძალის როლი საერთაშორისო პოლიტიკაში	x	x	x
კავკასიის გეოპოლიტიკა	x	x	x
ტერორიზმი და კონტრტერორიზმი	x	x	x
სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობა საერთაშორისო ურთიერთობებში და სახელმწიფოს უსაფრთხო მართვა	x	x	x
საერთაშორისო ორგანიზაციები კონფლიქტების	x	x	x

მართვის პროცესში			
პოლიტიკური სისტემები და საერთაშორისო ორგანიზაციები ახლო აღმოსავლეთში	x	x	x
ნატოს როლი საერთაშორისო ურთიერთობებში	x	x	x
ამერიკის საგარეო პოლიტიკა	x	x	x
პოსტსაბჭოთა სივრცის პოლიტიკური პრობლემები	x	x	x
ისლამი და პოლიტიკა	x	x	x
ევროინტეგრაცია	x	x	x
ირანის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში	x	x	x
რუსეთის საგარეო პოლიტიკა	x	x	x
ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკა	x	x	x

CIU
+ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი +
+ CAUCASUS INTERNATIONAL UNIVERSITY +